

შპს ქლიენტსაი ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	6
4. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
6. გადახდილი ავანსები	9
7. ძირითადი საშუალებები	9
8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი.....	10
9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	10
10. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	10
11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	132,636	252,134	37,098
გადახდილი ავანსები	6	96,721	92,995	36,037
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	30,972	9,631
სულ მოკლევადიანი აქტივები		229,357	376,101	82,766
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	150,558	170,211	120,824
სულ გრძელვადიანი აქტივები		150,558	170,211	120,824
სულ აქტივები		379,915	546,312	203,590
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		17,899	34,425	14,868
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	8	132,898	120,063	26,757
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		9,442	-	-
სულ ვალდებულებები		160,239	154,488	41,625
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		219,676	391,824	161,965
სულ საკუთარი კაპიტალი		219,676	391,824	161,965
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		379,915	546,312	203,590

დირექტორი

მარიამი ყულიაშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	9	3,063,264	2,746,110
ხელფასები და სხვა სარგებელი	10	(2,528,502)	(1,752,208)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(638,406)	(683,523)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	6		(1,934)
(ზარალი)/მოგება საკუროს სხვაობამდე		(103,638)	308,445
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(68,510)	(78,586)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(172,148)	229,859
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		(172,148)	229,859

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	161,965	161,965
წმინდა მოგება	229,859	229,859
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	391,824	391,824
წმინდა ზარალი	(172,148)	(172,148)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	219,676	219,676

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქლიენტსაი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2021 წლის 30 ივნისს. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ., IV კვარტალი, კორპუსი №2, საცხოვრებელი ფართი №76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405470119. კომპანიის 100%-ის მესაკუთრეა მარიამი ყულიაშვილი, 01801122926.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებელთა მხარდაჭერის მომსახურება. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია მარიამი ყულიაშვილი, 01801122926.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ დაწესებულება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. დაწესებულების მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო

მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებულებაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმო ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას ან ზარალს ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმო ამ სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

4.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება,

როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, ოფისის, კომუნალურ და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2023 წლის დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6,704	106,815
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	125,932	145,319
სულ	132,636	252,134

6. გადახდილი ავანსები

2023 წლის დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების ჩაშლა შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-2023	31-12-2022
ავანსად გადახდილი საიჯარო ქირა	92,401	92,401
სხვა გადახდილი ავანსები	4,320	594
სულ	96,721	92,995

7. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება			
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	97,914	31,170	129,084
დამატება	67,020	23,715	90,735
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	164,934	54,885	219,819
დამატება	20,296	7,455	27,751
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	185,230	62,340	247,570
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	6,466	1,794	8,260
ცვეთა	31,263	10,085	41,348
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	37,729	11,879	49,608
ცვეთა	35,639	11,765	47,404
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	73,368	23,644	97,012

საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	127,205	43,006	170,211
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	111,862	38,696	150,558

8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

2023 წლის დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასებისა და სხვა სარგებელის ჩაშლა შემდეგია:

გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-2023	31-12-2022
გადასახდელი ხელფასები	120,440	113,464
გადასახდელი სხვა სარგებელი	12,458	6,599
სულ	132,898	120,063

9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მომხმარებელთა მხარდაჭერის მომსახურებით მიღებული შემოსავლები. 2023 წლის განმავლობაში კომპანია მომსახურებას უწევდა 7 (2022 წელს: 5) არარეზიდენტ იურიდიულ პირს.

10. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
ხელფასის ხარჯი	2,418,215	1,718,689
სხვა სარგებელი	110,287	33,519
სულ	2,528,502	1,752,208

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2023	2022
იჯარის ხარჯი	256,299	268,485
კომუნალური ხარჯი	92,439	89,178
საკონსულტაციო ხარჯი	77,291	171,816
ოფისის ხარჯი	60,104	25,329
დაზღვევის ხარჯი	55,830	28,636
ძირითადი საშუალებების ცვეთა	47,404	41,348
საბანკო ხარჯი	5,760	1,698
სხვა ხარჯი	43,279	57,033
სულ	638,406	683,523

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

12.1 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 135,106 ლარი, ხოლო 2022 წელს - 128,135 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, შესაბამისი ანგარიშგების გამოშვებამდე, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.